შ. პ. ს. "გეოსტანდარტპროექტი "

**ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32გ,
ნაკვ. №01.10.10.022.331-ში მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის პროექტი**

**საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში**

შ.პ.ს.
"გეოსტანდარტპროექტის"
დირექტორი — გ. სიყმაშვილი

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი — გ. სადრაძე

ტექნიკური დავალება
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია შ.პ.ს. "თბილისი პალასი"-ს მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

2. ობიექტის მდებარეობა თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32გ, ს/კ 01.10.10.022.331
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის
საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია სტადია პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში თხუთმეტსართულიანი, 44,0x18,0 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00 = 445,0 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 442,0 მ

9. შენობის ტიპი კარკასული, სართულშუა გადახურვა მონოლითური ფილა
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები წერტილოვანი

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე 1000 ტ/მ

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1 : 500 1

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

შპს არქიგრამ
ARCHIGRAM

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ,
ნაკვ. №01.10.10.022.331-ში მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

1. შესავალი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია შ.პ.ს. "თბილისი პალასი"-სა და შ.პ.ს. “გეოსტანდარტპროექტი”-ს შორის დადებული ხელშეკრულების და მასზე თანდართული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, მარშალ გელოვანის გამზ. №32გ, ნაკვეთი №01.10.10.022.331-ის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოლოგიური მოვლენების შეფასება. აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს თხუთმეტსართულიანი შენობა სარდაფის სართულით, ზომებით გეგმაში 44,0x18,0 მ. შენობის ტიპი – კარკასული, საძირკვლის სავარაუდო ტიპი – წერტილოვანი. ნაგებობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია”. შესწავლილია და გაანალიზებულია ნაშრომების ის ნაწილი, რომელიც საკვლევ უბანს ეხება. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით, დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 9 ჭაბურღილი, კლდოვან ქანებში 2,0 მ-მდე ჩაღრმავებით, საერთო სიღრმით 75,0 გრძ/მ. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატით УРБ А-2А საშუალებით, მექანიკურ-სვეტური

მეთოდით, საცავი მილების გარეშე, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებულია კლდოვანი ქანების ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები შ.პ.ს. “თბილინვესტპროეტი”-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გამონამუშევრების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ამოღებული მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – (სამშენებლო წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2021 წლის ნოემბერში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში, ვაშლიჯვარში. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,3°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –23°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 66%, ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი –– 147 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი –– 15. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ –– 0,38 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –– 0,60 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ ––

შესაბამისად 21, 26, 29, 30, და 31 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A-0,17.

გამოკვლეული უბანი მდებარეობს ლისის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის ქვედა ნაწილში. სამშენებლო მოედნის რელიეფი უსწორმასწორო, აღმოსავლეთის ექსპოზიციის საშუალოდ დახრილ ფერდობს წარმოადგენს. მოედანს აღმოსავლეთიდან გრუნტის გზა ესაზღვრება, დანარჩენი სამი მხიდან თავისუფალი ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებულია, მასზე მდებარეობს ორი ძველი ორსართულიანი სახლი, ბეტონის ძველი სვეტები და დამხმარე ნაგებობები. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 442,0 – 449,0 მ ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. ეს ზონა ხასიათდება პალეოგენური დანალექი ფლიშური და ვულკანოგენური ქანების ფართო გავრცელებით. ქანები წარმოდგენილნი არიან განედური განვრცობის სუსტად შეკუმშული ნაოჭებით. თბილისის რაიონში განლაგებულია რამოდენიმე კარგად გამოხატული ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭი. ჩრდილოეთიდან ტერიტორია შემოსაზღვრულია ხევძმარ-დიღმის სინკლინით, ხოლო მისგან სამხრეთით მდებარეობს ლისის ანტიკლინი, რომლის ფარგლებშია განთავსებული საკვლევი ტერიტორია. იგი აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ნალექებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვები და არგილიტები დასტებად არიან განლაგებულნი. ზედაპირთან ქანები გამოფიტული და დანაპრალიანებულია, სიღრმეში მათი გამოფიტვის ხარისხი მცირდება. ეს ფენა გადაფარულია თანამედროვე ასაკის ტექნოგენური გრუნტებით. ფერდობზე ზოგან ძირითადი ქანების მცირე გამოსავლები შეინიშნება.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით.

3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად გაყვანილია 9 ჭაბურღილი კლდოვანი ქანების გამოუფიტავ ნაწილში 2,0 მ-მდე ჩაღრმავებით, გაშიშვლებებზე ჩატარებულია ნაპრალოვანი აგეგმვა. სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია ოთხი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQIV – თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნამტვრევებით, ლოდების და ღორღის ჩანართებით, შეუმკვრივებელი. ფენა გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე. ფენა არ დასინჯულა, რადგან იგი ფუძის გრუნტებად არ განიხილება. ფენის სიმძლავრე 1,0-3,4 მ-ის ფარგლებში მერყეობს. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-a– II კატეგორიას.

ფენა №2 არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა – P^3_2 – ფენაში შრეებრიობა შენარჩუნებულია, თუმცა, ბურღვისას ადვილად იშლება ნატეხებად. ქვიშაქვები მუქი-ყავისფერია, წვრილმარცვლოვანი, არგილიტები ღია-ყავისფერია, ფენოვანი. ფენა ძლიერ გამოფიტულია და ადვილად იშლება, ამიტომ, იგი განიხილება როგორც ღორღოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით. საცრული მეთოდით განისაზღვრა გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. გრანულომეტრიული შედგენილობის შედეგები მოცემულია ცხრ. 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 1

ფრაქციის ზომა, მმ	>40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-005	0.05-0.01	0.01-0.005	<0.005
საშუალო % რაოდ.	6.7	18.3	27.7	8.2	7.9	1.4	1.2	1.3	3.2	3.7	5.5	6.3	8.6
ჯამური % რაოდ	6.7	25.0	52.7	60.9	68.8	70.2	71.4	72.7	75.9	79.6	85.1	91.4	100

ცხრილში მოცემული სიდიდეების მიხედვით 10 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციები გრუნტის მასაში აღემატება 50%-ს, რაც პნ 02.01-08-ის დან. 1, ცხრ.2-ის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც ღორღოვანი გრუნტი. შემავსებელი გრუნტის მასაში 30%-ზე მეტია, ამიტომ, შესწავლილია შემავსებლის ფიზიკური თვისებები, ხოლო გრუნტის მექანიკური თვისებების განსაზღვრისთვის გამოყენებულია "методика оценки прочности

დირექტორი
პრ. ავტორი
შესრულდა
ფურც. ფურც. ფარდობა ფურცელი
A2
1:19
პროექტის შეფასების მეცნიერული-ტექნიკური ცენტრი
შპს არქიგრამ
ARCHIGRAM

и сжимаемости крупнообломочных грунтов. ДальНИИС 1989" ცხრ. 2-ში მოყვანილია გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ნორმატიული მნიშვნელობები. ცხრ.2

შემავსებლის ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,238
შემავსებლის პლასიურობის ზედა ზღვარი	Wl	ერთ. ნაწ.	0,319
შემავსებლის პლასიურობის ქვედა ზღვარი	Wp	ერთ. ნაწ.	0,215
პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	10,3
დენადობის მაჩვენებელი	IL	ერთ. ნაწ.	0,22
ნორმატიული სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,12
შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	35^0
ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,14
დეფორმაციის მოდული	E	მპა	38
პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,27
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	4,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 3-ა-V კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას

ფენა №3 ქვიშაქვის და არგილიტის მორიგეობა – P^3_2 – მონაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ ნაპრალიანი. ქვიშაქვები მსხილმარცვლოვანია, თიხურ ცემენტზე, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტების თხელშრეებრივია, ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის დასტების სახით არის განლაგებული. ნაპრალები შევსებულია გამოფიტვის მასალებით. არგილიტების შრეების სიმძლავრე 3-10 სმ ფარგლებშია, ქვიშაქვის შრეები 20-40 სმ-ია. ჭრილში ქვიშაქვები დომინირებენ. შრეების დაქანების აზიმუტი ჩრდილოეთურია, ფერდობს დახრა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აქვს, ამიტომ, კლდოვანი ქანის შრეების დახრა ფერდობის დახრას არ ემთხვევა Az 320-325º, დახრის კუთხე 15-25º. გამონამუშევრებიდან აღებულ 3 ნიმუშზე ჩატარდა გამოცდები ერთღეძა კუმშვაზე, როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. დეფორმაციის მოდულის და ძვრის მახასიათებელთა მნიშვნელობები მიღებულია ნაპრალიანობის ხარისხის გათვალისწინებით, ს.ნ. და წ. 2.02.02-85 ცხრ. 5-ის საფუძველზე. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,23
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	9,0
3	დეფორმაციის მოდული	E	მპა.	2000
4	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახსტანდარტ 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება მცირე სიმტკიცის, დარბილებად, კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-б – VI კატეგორიას

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას

ფენა №4 ქვიშაქვები და არგილიტის თხელი შუაშრეებით – P^3_2 – მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის. სუსტად გამოფიტული, სუსტად ნაპრალიანი. ლაბორატორიულად შესწავლილია ქვიშაქვის 6 ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე, როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 4-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 4

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,36
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში	R_C	მპა	16,5
3	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
4	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,20

სახსტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, არადარბილებად, საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-ა-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას.

გრუნტის წყალი გავრცელებულია 5,3-8,0 მ-ის სიღრმიდან. ჭყალი საშუალო მინერალიზაციისაა 1,7 მგ/ლ, ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანია. წყალი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W_4 მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ..

არ არის აგრესიული პორტლანდცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%; C_3A არაუმეტეს 7%; C_3A+ C_4AF არაუმეტეს 22%; წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76 ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W_4, W_6, W_8 მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

შპს არქიგრამ
ARCHIGRAM

4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.10.10.022.331 მდებარეობს უსწორმასწორო რელიეფზე, ნიშნულებით 441,0 – 449,0 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების "ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება საშუალო გეოლოგიური რისკის ზონას. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დროს შესწავლილი იქნა როგორც სამშენებლო მოედანი, ასევე მიმდებარე ტერიტორია. დადგინდა, რომ, საპროექტო შენობის განთავსება მოხდება ფერდობის ქვედა ნაწილში, რომლის რელიეფი მცირედ დახრილია, ამიტომ, ფერდობის ჩამოჭრა არ იგეგმება. შესაბამისად, რაიმე დამცავი ღონისძიების გატარების საჭიროება არ არსებობს. ამჟამად, მიწის ნაკვეთი მდგრადია, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები განვითარებული არ არის.
2. საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – სგე (ნაყარი გრუნტი მხედველობაში არ მიიღება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 5-ში.

ცხრ. 5

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ , გ/სმ^3	ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ^2	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყ. Rc მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა R 0, კგძ/სმ^2	დეფორმაციის მოდული E მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	2.12	0.14	35°		4.5	38	0.27	ღორღოვანი გრუნტი
	α =0,85	2.11	0.14	35°					
	α =0,95	2.10	0.09	30°					
II	A_n	2.23			9.0		2000	0.25	ქვიშაქვა ყავისფერი
III	A_n	2.36			16.5		2000	0.20	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო
	α =0,85	2.33			15.5				
	α =0,95	2.31			14.8				

შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა α გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება – ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას α=0.95, დეფორმაციაზე გაანგარიშებისას α=0.85

3. საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს ძირითად ქანს. მისი დამუშავება ექსკავატორით შესაძლებელია. დამუშავებისას იშლება ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობამდე. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები. მასზე საძირკვლის მოწყობა შესაძლებელია, საძირკვლის ტიპი – რეკომენდებულია რკინა-ბეტონის ფილა.
4. II ს.გ.ე. წარმოადგენს მოყავისფრო ფერის მცირე სიმტკიცის კლდოვან ქანს. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფუძის გრუნტებად.
5. III ს.გ.ე. წარმოადგენს მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანს. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები. იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად. საძირკვლის ტიპი – რკინა-ბეტონის დგარი ხიმინჯები.
6. მიწისქვეშა წყალი კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების კონტაქტზე, ზედაპირიდან 5,3-8,0 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა. წყალი საშუალო სულფატური აგრესიით ხასიათდება, ამიტომ, ხიმინჯებში გამოყენებულ იქნეს სულფატომდეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონი.
7. სამშენებლო მოედანი ფერდობზე მდებარეობს, ამიტომ, ძლიერი ატმოსფერული ნალექების დროს მოსალოდნელია წყლის ნაკადების მოძრაობა მოედნის მიმართულებით. ამ პროცესის თავიდან აცილება შესაძლებელია ფერდობის ზედა ნაწილში სამთო არხების მოწყობით და წყლის არიდებით. კლდოვანი ქანების დახრა ჩრდილოურია, ქანების დაქანების აზიმუტი Az 320-325º, დახრის კუთხე 15-25º შეადგენს, რაც ფერდობის ექსპოზიციასთან კუთხეს ქმნის.
8. ქვაბულის გახსნის შემდეგ ატმოსფერული ზემოქმედების გამო, გრუნტის თვისებები იცვლება. ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1 ანუ 45º, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
9. ქ. თბილისი, "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01.-09-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას. უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

ამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი: გ. სიჟამაშვილი

შპს არქიგრამი

ARCHIGRAM

ფ №30

გეოლოგიური კვლევა

გეოლოგიური კვლევის შურფების სქემა

თემატური ზონირება

CZ | C | ბ რ ბ

ზონირების ნაწილი

მრავალბინიანი კომპლექსი



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, გელოვანის გამზ. №32ბ, ნაკვ. №01.10.10.022.331-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი	
დირექტორი	გ. სიყმაშვილი			
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე		ჭაბურღილების განლაგების სქემა	
შეასრულა	გ. სადრაძე			
შეამოწმა			სტადია / ფურცელი / ფურც-ბი / მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა/პროექტი / 1 / 5 / უმასშტაბო	"გეოსტანდარტპროექტი

დირექტორი	პ. ნუცუბიძე	
პრ. ავტორი	გ. გურგენიძე	
შეასრულა		

ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
		A 2		

სტადია

პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა

შპს არქიგრამ

ARCHIGRAM



პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: ღობნარის მასა ლერწმის, ღორღის, ბეტონის და აბების ნამტვრევების ნაჯარომების, შემკვრივებულები.

არბილეტების და ქვიშაქვების ხსნელშეკავებით მრღვიეობა, ძლიერ გამოფიტული, ფაქტიური ლოდოვანი ბრუნტის მდგომარეობაში.

არბილეტების და ქვიშაქვების მრღვიეობა, მრღაღონის/ნაღ-ნაპლასტიკი, მკვრივ სმეტკიანის.

ქვიშაქვები არბილეტების ხსნელი შეაუმრევებით, მრღაღონის/ნაღ-მოლეშილ, საშუალო სმეტკიანის.

ლეიოლოგიური საზღვარი

ბრუნტის ჭედის დონე

მასშტაბები		ხელმოწერა	ობიექტის, გეოლოგიური ბაში. №320, ნაკ. №01.10.10.022.331-20 მაგისტრალების საავტომობილო გზების ობიექტზე					
ფორმატები	ა. სიმაღლეები							
ტექნიკური	ა. სართ.		საინჟინრო-გეოლოგიური პროფილი I-I					
შესაბამება	ა. სართ.							
შესწორება			ეტაპი	წონები	წონა	მასშტაბი	შ.ა.ს	
			კორპუსი	2	5	1:100		



პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: ღობნარის მასა ლერწმის, ღორღის, ბეტონის და აბების ნამტვრევების ნაჯარომების, შემკვრივებულები.

არბილეტების და ქვიშაქვების ხსნელშეკავებით მრღვიეობა, ძლიერ გამოფიტული, ფაქტიური ლოდოვანი ბრუნტის მდგომარეობაში.

არბილეტების და ქვიშაქვების მრღვიეობა, მრღაღონის/ნაღ-ნაპლასტიკი, მკვრივ სმეტკიანის.

ქვიშაქვები არბილეტების ხსნელი შეაუმრევებით, მრღაღონის/ნაღ-მოლეშილ, საშუალო სმეტკიანის.

ლეიოლოგიური საზღვარი

ბრუნტის ჭედის დონე

მასშტაბები		ხელმოწერა	ობიექტის, გეოლოგიური ბაში. №320, ნაკ. №01.10.10.022.331-20 მაგისტრალების საავტომობილო გზების ობიექტზე					
ფორმატები	ა. სიმაღლეები							
ტექნიკური	ა. სართ.		საინჟინრო-გეოლოგიური პროფილი II-II					
შესაბამება	ა. სართ.							
შესწორება			ეტაპი	წონები	წონა	მასშტაბი	შ.ა.ს	
			კორპუსი	3	5	1:100		



პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: ღობნარის მასა ლერწმის, ღორღის, ბეტონის და აბების ნამტვრევების ნაჯარომების, შემკვრივებულები.

არბილეტების და ქვიშაქვების ხსნელშეკავებით მრღვიეობა, ძლიერ გამოფიტული, ფაქტიური ლოდოვანი ბრუნტის მდგომარეობაში.

არბილეტების და ქვიშაქვების მრღვიეობა, მრღაღონის/ნაღ-ნაპლასტიკი, მკვრივ სმეტკიანის.

ქვიშაქვები არბილეტების ხსნელი შეაუმრევებით, მრღაღონის/ნაღ-მოლეშილ, საშუალო სმეტკიანის.

ლეიოლოგიური საზღვარი

მასშტაბები		ხელმოწერა	ობიექტის, გეოლოგიური ბაში. №320, ნაკ. №01.10.10.022.331-20 მაგისტრალების საავტომობილო გზების ობიექტზე					
ფორმატები	ა. სიმაღლეები							
ტექნიკური	ა. სართ.		საინჟინრო-გეოლოგიური პროფილი III-III					
შესაბამება	ა. სართ.							
შესწორება			ეტაპი	წონები	წონა	მასშტაბი	შ.ა.ს	
			კორპუსი	4	5	1:100		



პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: ღობნარის მასა ლერწმის, ღორღის, ბეტონის და აბების ნამტვრევების ნაჯარომების, შემკვრივებულები.

არბილეტების და ქვიშაქვების მრღვიეობა, ძლიერ გამოფიტული, ფაქტიური ლოდოვანი ბრუნტის მდგომარეობაში.

არბილეტების და ქვიშაქვების მრღვიეობა, მრღაღონის/ნაღ-ნაპლასტიკი, მკვრივ სმეტკიანის.

ქვიშაქვები არბილეტების ხსნელი შეაუმრევებით, მრღაღონის/ნაღ-მოლეშილ, საშუალო სმეტკიანის.

ლეიოლოგიური საზღვარი

ბრუნტის ჭედის დონე

მასშტაბები		ხელმოწერა	ობიექტის, გეოლოგიური ბაში. №320, ნაკ. №01.10.10.022.331-20 მაგისტრალების საავტომობილო გზების ობიექტზე					
ფორმატები	ა. სიმაღლეები							
ტექნიკური	ა. სართ.		საინჟინრო-გეოლოგიური პროფილი IV-IV					
შესაბამება	ა. სართ.							
შესწორება			ეტაპი	წონები	წონა	მასშტაბი	შ.ა.ს	
			კორპუსი	5	5	1:100		

დირექტორი			
არ. ავტორი			
შემსრულებელი			
ფურც.	ფურც. რაოდენობა	ზომა/ტაბა	ტიპური
		A2	

არქიტექტურული ნაწილი

შპს არქიგრამ

ARCHIGRAM

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 დაწყება 15.11.21 მასშ: 1:25 დასრულება 15.11.21 აბს. ნიშნ 445.5

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2			2.2	2.2	443.3				
3						ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფერ-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
4			4.5	2.3	441.0				4.2
5	P_2^3					ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			
6			6.0	1.5	439.5				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 დაწყება 15.11.21 მასშ: 1:25 დასრულება 15.11.21 აბს. ნიშნ 444.5

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2									
3			3.0	3.0	441.5				
4	P_2^3					ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობაში.			
5									
6									5.5
7			7.2	4.2	437.3				
8	P_2^3		8.6	1.4	435.9	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
9	P_2^3					ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			
10			10.0	1.4	434.5				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №3 16.11.21 მასშ: 1:25 16.11.21 აბს. ნიშნ 447.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2			2.0	2.0	445.0				
3	P_2^3		3.2	1.2	443.8	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობაში.			
4	P_2^3					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
5			5.4	3.4	441.6				4.2
6	P_2^3		7.0	1.6	440.0	ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №4 16.11.21 მასშ: 1:25 16.11.21 აბს. ნიშნ 444.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	P_2^3		1.7	1.7	442.3	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობაში.			2.2
3			2.6	0.9	441.4				
4	P_2^3					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
5			5.7	3.1	438.3				
6	P_2^3					ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			
7			8.0	2.3	436.0				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №5 16.11.21 მასშ: 1:25 16.11.21 აბს. ნიშნ 446.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.0	1.0	445.0	ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	P_2^3					ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობაში.			
3									
4									
5									
6									
7			7.8	6.8	438.2				6.8
8	P_2^3		8.6	0.8	437.4	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			8.3
9	P_2^3					ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			
10			10.0	1.4	436.0				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №6 17.11.21 მასშ: 1:25 17.11.21 აბს. ნიშნ 443.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კვეთა	ფენის სიგანე მ	ფენის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	ჭაბურღილის განმარტება	ლაბორატორიული დადგენილება	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV					ნავარი გრუნტი თიხნარის მცირე ლინზების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2									
3			3.4	3.4	439.6				
4	P_2^3		4.3	0.9	438.7	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობაში			4.0
5	P_2^3					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მინაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
6									
7									
8			8.6	4.3	434.4				6.5
9	P_2^3					ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მინაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			
10			10.0	1.4	433.0				

დირექტორი	ბ. ნადირაძე	
პრ. ავტორი	ი. ფხაკაძე	
შემსრულებელი		
ფურცლის დასახელება	ზონირ. ყოფილ. ტექნ. ობიექტის	ფორმატი
		A 2
		27.01.19
		1:500

არქიტექტურის, მშენებლობის და ტერიტორიული განვითარების სამსახური

შპს არქიბრამ



ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №7 17.11.21 მას'შ: 1:25 17.11.21 აბს. ნიშ 446.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ძირის სიღრმე მ	ძირის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დინის დაშრობა მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.5	1.5	444.5	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ლოდების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2 3 4 5	P2³		4.9	3.4	441.1	ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობამდე.			3.2
	P2³		5.5	0.6	440.5	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.			
6 7 8	P2³		8.0	2.5	438.0	ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №9 18.11.21 მას'შ: 1:25 18.11.21 აბს. ნიშ 443.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ძირის სიღრმე მ	ძირის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დინის დაშრობა მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.0	2.0	441.0	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ლოდების, ღორღის, ბეტონის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.			
3 4 5 6 7 8	P2³		8.3	6.3	434.7	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, დაშლილი ღორღოვანი გრუნტის მდგომარეობამდე.			7.5
	P2³		8.6	0.3	434.4	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-ყავისფერი, ძლიერ			
9 10	P2³		10.0	1.4	433.0	ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.			

დირექტორი
პრ. ავტორი
შემსრულ.
ფურც. ფურც. ტიპ. ფორმატი
A 2
ლიცენზიის ტიპი: საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური ლიცენზია

შპს არქიგრამ
ARCHIGRAM

პროექტის დასახელება: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32გ, ნაკვ. №01.10.10.022.331

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

